აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 12

07 აგვისტო 2008 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ„ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 55-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2008 წლის 06 აგვისტოს № 02-3/236 და 02-3/237 წერილების საფუძველზე უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა თანახმად დანართისა.

2. არჩევნების დაფინასების გეგმა გადაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია